№ 81 აპრილი 15, პარასკევი 1888 აპრილი 15, პარასკევი № 81

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოთ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ა-ნ ხიდდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

**გაზეთი „ივერია“ პირველ აპრილიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მანათი.**

ტფილისი, 14 აპრილი

ერთის გაზეთის კორრესპონდენტი საფრანგეთის შესახებ ამბობს: «ჩვენს თვალ-წინ ერთი უცნაური და დიდის-დიდად საინტერესო ამბავია დღესა. ორიოდე კაცმა, მართალია მხნეებმა და ნიჭიერებმა, მაგრამ სხვაფრივ-კი ღონე-მოკლებულებმა, ამართეს დროშა ხალხში სახელ გათქმულის გენერლისა, მთელი იერიში მიიტანეს მესამე რესპუბლიკის პარლამენტარობის სისტემაზედ და მთელი ომი გამართეს სასარგებლოდ თავის არჩეულ გენერლისა... ამ ორიოდე კაცისაგან ატეხილი მოძრაობა ლამის ერთ უშველებელ ნიაღვარად გადაიქცეს და თან წაიღოს ყოველისფერი, რაც წინ დახვდებაო. ამიტომაც საშინელი შიში და კრძალვა შეუდგათ მის მოპირდაპირეებსაო».

ვინ არის იგი კაცი, რომლის სახელით ასე შესძრეს თითქმის მთელი საფრანგეთი? ის კაცი გახლავთ გენერალი ბულანჟე, რომელსაც ოპორტუნისტების დასმა ჯერ სამხედრო მინისტრობა ჩამოართვა და ბოლოს ხომ სრულადაც გადააყენა სამხედრო სამსახურიდამ. აბა თუ ესეა, და ახლა მე ვიციო, დაიქადა ამ ბედნიერმა გენერალმა და აი დღეს ლამის ქადილი შეუსრულდეს.

რა კაცია ეს გენერალი ბულანჟე? ამის პასუხს დაბეჯითებით თვითონ მისნი მახლობელნიც ვერ იტყვიან. რა უნდა ამ კაცს? ამაზედ თვითონ ბულანჟესაც-კი პასუხი ვერ მიუცია: ვერ მიუცია იმიტომ-რომ ის, რასაც ეხლა ბულანჟე ამბობს, პასუხი არ არის. იგი ამბობს, რომ მე მინდა დღევანდელი ენა-ჭარტალა და უბედი პარლამენტი გადავაყენო, სხვა ახალი პარლამენტი ამოვარჩევინო საფრანგეთის ერსა და კონსტიტუციის წესი ხელ-ახლად გადავასინჯვინო და გადავაკეთებინოვო. ამაზედ ეუბნებიან,—ეგ ხომ მარტო გზაა, ეგ ხომ მარტო ღონეა რისამე მისაღწევი და გვითხარით, მაგ გზით და ღონით რის მიღწევა გსურთო. რის მიღწევაც მსურს, მე მაგაზედ ჩემი საკუთარი პლანები მაქვსო, და ჯერ ვერავის ვეტყვიო, უპასუხნია თურმე ბულანჟეს.

თუ ბულანჟე კაცობითაც გამოუცნობელია და მოძღვრებითაც გამოურკვეველი, მაშ მისმა სახელმა რა მანქანებით-ღა აწეწა მთელი საფრანგეთი იმოდენად, რომ ლამის ყველაფერი ერთმანერთს ახალოს და დააჯახოს? ამისი მიზეზი იმოდენად მისის სახელის ღირსება და შარავანდედი არ არის, რამოდენადაც თვითონ საფრანგეთის დღევანდელი ავ-კარგიანობა. მას აქედ, რაც რესპუბლიკა დაარსდა საფრანგეთში, ერი შინაურ ყოფა-ცხოვრების განკარგებას ჰნატრობდა ყოველ დღე. პარლამენტმა, რომელიც დასთა სიმრავლეს ერთმანერთში ანგარიშების გასასწორებელ სალაყბოდ გადააქცია, მოაწყინა თავი საფრანგეთსა თავისის უხეირობით და უქმობით. ამ ლაქლაქა და თითქმის ყოვლად უქმ პარლამენტის ხელში ვერც ერთმა სამინისტრომ თავი ვერ დაიჭირა იმოდენად, რომ დასთა ბრძოლისაგან მოცლილს დრო ჰქონოდა გაეკეთებინა რამე. ამიტომაც ერთს დროს, როცა ოპორტუნისტების დასს გავლენიანი ხმა ჰქონდა, ეს დასი ჰქადაგებდა პარლამენტის დათხოვნასა და სხვა საპარლამენტო კაცთა არჩევანსა, რადგანაც ეგონა, რომ საფრანგეთის ერი ამოირჩევდა ოპორტუნისტების დასის კაცებს და მით გაძლიერებულნი და მხარ-მოცემულნი ხელთ ჩაიგდებდნენ ხანგრძლივად საფრანგეთის სვე-ბედის გამგეობას.

ოპორტუნისტების მხრით ამგვარის აზრის დენა იყო საფრანგეთში. მეორეს მხრით რადიკალთა დასი ჰთხოულობდა რეფორმებს შინაურ ყოფა-ცხოვრების განსაკარგებლად. დღეს ეს ორი უდიდესი დასია პარლამენტში. სხვა გვარ დასებსაც, რომელთაც პარლამენტში თავისი წარმომადგენელნი ჰყავნდათ, თავისი საკუთარი ტკივილი და წყურვილი ჰქონდათ და ამ მიზეზით ერთი მეორეს არ აცლიდა საქმის კეთებას და ტყუილ-უბრალოზედ ეხარჯებოდათ ტყუილ-უბრალო მჭევრ-მეტყველობა. საქმე არა გამოდიოდა-რა, ფრაზების მეტი. დაიღალა საფრანგეთი ლოდინითა, დაეღალა თვალი, დაეღალა გული. ბევრმა აითვალწუნა ეხლანდელი პარლამენტი, როგორც ვერ შემძლებელი საქმისა რისამე და ვერც დამადგინებელი იმისთანა მთავრობისა, რომელსაც ხანგრძლივად გაეძლო და, მაშასადამე, დრო ჰქონოდა მოქმედებისათვის.

ხშირად ამისთანა გულ-ნაკლულობის და გულ-დაწყვეტილობის დროს ერი წყალ-წაღებულსავით ხავს ეჭიდება, რაკი მეტი გზა არ არის. ამისთანა დროს სამდურავი და უკმაყოფილება არის ხოლმე იგი მღვრიე წყალი, რომელშიაც ყოველი პატივ-მოყვარე კაცი თევზის ჭერას ჰნდომობს. აქ თვითონ ღირსება კაცისა, რომელიც ხელთ იგდებს ხოლმე ბადესა, არაფერს შუაშია და მარტო უღირსობა ჟამთა ვითარებისა მოქმედებს. ამისთანა დროს, მუთაქაც რომ დასვათ, შესაძლოა ხალხის თვალი მიზიდულ იქმნას და მოტყუებულ.

აი სწორედ ეს დრო იხელთა ორიოდე გამჭრიახმა კაცმა და გამოატყვრინა გენერალი ბულანჟე საფრანგეთის მხსნელად. აი კაციო, უთხრეს საფრანგეთს: რომელიც ამ უქმს და უხეირო პარლამენტსაც თავიდამ მოგაშორებთ და უკანონოდ შემდგარს უღონო კონსტიტუციასაც გადაგიკეთებთო, ესე იგი, რეფორმებს მოახდენსო. ბულანჟემაც ეს დაიხვია ხელზედ და დღეს პირში ბურთს უდებს ცალკე ოპორტუნისტებს, რომელთაც ეხლანდელის პარლამენტის დათხოვნა ჰსურდათ, ცალკე რადიკალებს, რომელთაც რეფორმები უნდოდათ. ერთსაც და მეორესაც მე ვკისრულობ და მოვახდენო, იძახის თამამი გენერალი: და თუ თვითვეულის თქვენგანის სურვილი ტყუვილი მიდებმოდება არ არის ერის თვალის ასახვევად, წინ რაღად მეღობებითო? ამ სახით ამ ორის გავლენიან დასის იარაღითვე იბრძვის დღეს ბულანჟე.

ბევრს არა სჯერა, რომ ბულანჟე რისამე შემძლებელი იყოს, მაგრამ გულ-დაწყვეტილს და გულ-ნაკლულს ყოველ გვარი ქადილი და დაპირება ადვილადა სწამს ხოლმე და რასაკვირველია, რომ ქადილი და დაპირება ლადის გენერლისა ზოგიერთმა ნაწილმა დაიჯერა საფრანგეთშიაც. დღეს, თუ ბულანჟეს სახელი მოქმედობს საფრანგეთში, ერის გულ-დაწყვეტილად და გულ-ნაკლულად ყოფნის წყალობით მოქმედობს და არა იმით, რომ იგი მართლა ღირსებით შენიშნული და საიმედო კაცია.

იქნება ყოველის ღირსებითაც შემკული იყოს, მაგრამ ჯერ არავითარი საბუთი არ არის, არავითარი მაგალითი, რომ რომელიმე ღირსება მისი გამოჩენილიყოს. საფრანგეთისათვის მას არავითარი საქებ-სადიდებელი სამსახური არ გაუწევია. დღევანდელის ყოფა-ცხოვრების მომდურავებმა თუ გენერალ ბულანჟეს ჩაჰკიდეს ხელი თავისის განზრახვის განსახორციელებლად, მარტო იმისთვის, რომ ამ გენერალს სახელი აქვს გავარდნილი საფრანგეთში, რადგანაც მინისტრობის დროს, ცხვირიც რომ დაეცემინა, დაფა-ნაღარას დაჰკრავდა ხოლმე, ვითომ-და დიდი რამ საქმე გავაკეთე დამიჟურეთ; რა კაცი ვარო. ამისთანა შუშხუნა და ფართი-ფურთის კაცი ზოგჯერ გზას გაიკაფავს ხოლმე საფრანგეთში, მაგრამ შუშხუნასავით

# ფელეტონი

## ცოფის აცრა პასტერისეურის მეთოდით.

ჩვენშიაც-კი აღარ მოიძებნება ისეთი მიყრუებული სოფელი, რომ აცრის ამბავი გაგონილი მაინც არა ჰქონდეს. ყვავილის აცრა ჩვენში ახლა ძველი ამბავია. რაც შეეხება ცოფის აცრას, ეს-კი, არა მგონია, რომ ბევრმა იცოდეს. დიაღ, ბატონებო, დღეს ცოფსაც უცრიან ყვავილსავით, გაცოფებისაგან დასახსნელად. იყო დრო, როცა ყვავილი ჟამიერით საშინელი ავადმყოფობა იყო კაცობრიობისათვის და მუსრს ავლებდა ქვეყანას. თუმცა, მართალია, ის დღესაც მეტად ცუდი და საშიში სენია, მაგრამ სად ეხლანდელი ყვავილი და სად მაშინდელი, როცა ჯერ კიდევ არ იცოდნენ იმისი აცრა.

თუ რა საშინელებაა და ღვთისრისხვა გაცოფება, ამაზე ლაპარაკი მეტია. ვისაც არ უნახავს გაცოფებული ადამიანი, გაგონებით მაინც ექნება წარმოდგენილი იმისი აუწერელი საცოდაობა! თუკი მოერია ვისმე ცოფი, მერე იმისი მორჩენა ტყუილია. აქ ამაო და უღონოა ყოველივე ცდა და საშუალება. წამლობა და შველა უნდა დაკბენილს იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ მოჰრევია ცოფი. საქმე ის არის, რომ ცოფი იმ წამსვე, რა წამსაც შევა სისხლში ნაკბენის ჭრილობის საშუალებით, როდი იჩენს თავის მამაკვდინებელ ძალას. ცოფი გამოაჩნდება კაცს დაახლოვებით მეექვსე კვირაზე, ხან ცოტა უფრო ადრე, ხან უფრო გვიან. ამ დროს ცოფი შეუმჩნევლად მოქმედობს სხეულში და ამ პირველ ხანას ავადმყოფობისას ჰქვიან ცოფის ფარულად მოქმედების ხანა. აი ამ დროს უნდა მისწრება და წამლობა, თუკია სადმე წამალი.

«თუკია» ვამბობ იმიტომ, რომ საექიმო მეცნიერებამ, მედიცინამ არა იცის-რა ისეთი, რასაც, შეიძლებოდეს, კაცმა წამლის სახელი დაარქვას: ჩვენ არ გვეგულება ცოფის წამალი. მართალია, ის, რასაც წამალს ეძახიან და რითაც დასაბამიდამ სწამლობდნენ და სწამლობენ დღესაც, მრავლისაგან მრავალია. თუ აჰყვევით ხალხის ყბას, ბევრმა იცის ცოფის უებარი წამალი, ბევრი ვითომც ჩვენშიაც არჩენს გაცოფებულს. მაგრამ, საუბედუროდ, ეს ისეთივე ზღაპარია, ისეთივე უმეცრული ჭორი, როგორც ის, რომ გაცოფებული კაცი ლეკვებს ჰყრის... ადამიანი ლეკვებს!

ეს გაზეთი არ გვეყოფა, რომ მოვყვეთ და ჩამოვთვალოთ ყველა ის საგანი,—ცხოველი, თუ არა-ცხოველი, მცენარე თუ ბუხანკალი, რომელიც-კი უსახელებიათ და ასახელებენ ცოფის წამლად. რა გასაკვირველია, რომ ხალხი ეძებდეს ამ საშინელის ავადმყოფობის წამალს და ეტანებოდეს ყველაფერს, რაც-კი მოხვდება ხელში,—ეგებ უშველოსო. თუ-კი დაკბენილს ასვეს რამე ანუ აჭამეს და არ გაცოფდა, მაშასადამე, ცხადია, რომ ის, რაც ასვეს, თუ აჭამეს, წამალიაო. ასე სჯის უმეცრული უგნურება! post hoc, ergo, propter hoc, ე. ი. თუ მას მერეა, მაშასადამე, იმის წყალობით ყოფილაო.

ხშირად გაიგონებთ საყვედურს, რომ სწავლული ექიმები აბუჩად იგდებენ და ყურადღებას არ აქცევენ ხალხის მდაბიურ წამლობას. ტყუილი, უსაფუძვლო საყვედურია! ჩვენი ახლანდელი მედიცინა, ჩვენი ექიმობა მდაბიურ ექიმობისა და წამლობის ღვიძლი შვილია, ოღონდ მეცნიერულის კვლევითა და ძიებით გაწმენდილი და ბუნების მეტყველებაზე მკვიდრად დაფუძნებული. მას აქვს თავისი წარსული, თავისი ვრცელი ისტორია. მას უკრეფია და უთვისებია ყველაფერი, რაც-კი რამ სადმე შეთვისების ღირსი ყოფილა. მას გულ-დასმით შესწავლული აქვს ძველის ეგვიპტეს, ძველის ჩინეთის, ბერძნებისა თუ არაბების საექიმო სიბრძნე და წამლობა. თუ ხან-და-ხან სწავლული ექიმი, როცა იმას სხვა-და-სხვა სასწაულებს უამბობენ და უებარ წამლებს უსახელებენ, მწარედ ჩაიცინებს, სხვისი უმეცრება იმისი რა ბრალია! თუ მეტყვით, ის ბრალიაო, რომ იმათ უნდა ავრცელონ [illegible] თავისი ცოდნა, რამდენადაც ეს შესაძლებელია,—დიაღ, მართალი ბრალდებით: ყველა განათლებული კაცი მოვალეა ებრძოლოს შემცდარ აზრსა და უმეცრებას.

მაშ ნუ თუ სულ ტყუილი ამბავია დაკბენილების მორჩენა?

ამის თაობაზე უფრო ვრცელი საუბარი შემდეგში მექნება მკითხველთან. ახლა ბევრს სხვა გარემოებას თავს დავანებებ და დავასახელებ უმთავრესს.

როგორც საზოგადოდ ყოველ სტატისტიკაში, ისე სამკურნალო სტატისტიკაშიაც და მეტადრე იმაში, რომელიც შეეხება ცოფს, ჯერ კიდევ ბევრი რამეა საეჭვო და არანამდვილი. მაგრამ ამას-კი ცხადად გვეუბნება სტატისტიკა, რომ დაკბენილებში ოღონდ უმცირესი ნაწილი ირევა ცოფით, დანარჩენი უმრავლესობა სრულებით რჩება, რადგან იმას ცოფი არ ეკიდება, და, სულაც რომ არ უწამლოთ, ისევ ისე უვნებ-

მაგრამ იცის როგორც ანთება, ისეც ჩაქრობა. ხოლო უბედურება ეს არის, რომ ხშირად ეს შუშხუნობა შემდეგ მწარედ უჯდება ხოლმე საფრანგეთსა.

დღეს საფრანგეთს ამისი შიში აქვს და ამას სწუხან მით უფრო, რომ ამ შიშის გამო საფრანგეთს ევროპიის მწყობრში თავისი შესაფერი ხმა არ ექმნება, რადგანაც ციხე მისი შიგნიდამვე ირყევა და ბევრ ნაირად განსაცდელში გამომვლილს საფრანგეთს ზარი რყევისა ღონესაც უბათილებს და ხალისსაც უკლავს საგარეო მოქმედებისათვის, იმ ანდაზისა არ იყოს, რომ როცა შინ ბალღები გიტირიან, გარედ ტაბლას რა უნდაო.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ანგარიში ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოებისა, რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის ოლგა თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშ. ანგარიში ეხება საზოგადოების მოღვაწეობას 1886 წლის პირველ ივნისიდგან 1887 წლის პირველ ივნისამდე და შეიცავს ბევრს საინტერესო ცნობას საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ. მოგვყავს ზოგიერთი: საზოგადოებას საანგარიშო წელიწადში ჰქონია 41,625 მან. 94 კაპ., დაუხარჯავს სკოლებისათვის, ღარიბთა და ყმაწვილთა თავ-შესაფარ სახლებისა და სხვა საჭიროებისათვის 26,074 მან. 99 კაპ. საზოგადოებას ჰქონია შვიდი სკოლა, 5 ვაჟებისა და 2 ქალებისა (ერთი სკოლა ჭრა-კერვისაა), ერთი თავ-შესაფარი სახლი ღარიბთათვის და ერთიც ყმაწვილებისათვის. საზოგადოების სკოლებში წლის განმავლობაში სწავლობდა 517 ყმაწვილი ქალი და ვაჟი; ამათში რუსის ყმაწვილები—284, ქართველი—146 (131 ქალი და 15 ვაჟი), სომეხი—33 და 54 სხვა-და-სხვა ტომისა. ღარიბთა თავ-შესაფარ სახლში ყოფილა 61 კაცი, ყმაწვილებისაში—18.

*** კვირას, 17-ს აპრილს, შუადღისას უნდა აკურთხონ ყმაწვილების თავ-შესაფარი, რომელიც ახლად დაარსებული და აშენებულია ნავთლუღში კნეინა ნადეჟდა ანდრიას ასულის დონდუკოვ-კორსაკოვის სახელის სახსოვრად.

*** ჩვენ მივიღეთ სამი ახალი ქართული წიგნი: ბ-ნის ბარნოვისა «საკვირველი ხე», საყმაწვილო მოთხრობა, იმისივე მოთხრობა «პაპუნა», და «სარკე კაცის შინაგანის ცხოვრებისა», გამოკრეფილი სხვა-და-სხვა ძველ ქართულ წერილებიდგან მღვდელ-მონაზონის ბენედიქტეს მიერ, გამოცემული ათონის ქართველთა იოანე ღვთის-მეტყველის სავანისა. ამ წიგნში ჩართულია ათი სურათი.

*** გორი: მკითხველებს, რასაკვირველია, არ დაუვიწყნიათ, როგორ ნადირობდნენ შარშან გორის მაზრაში ავაზაკები, რომლებიც დღემდის ვერ აღმოუჩენიათ და ვერ შეუპყრიათ. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ის გათამამებული ავაზაკები წელსაც გაიხსენებენ თავიანთს ხელობას და თავისებურად ცარცვა-გლეჯასა და კაცის-კვლას შეუდგებიან, როცა ტყე ფოთოლს შეისხამს. ამიტომაც მეტად საჭიროა, ადგილობრივი მთავრობა დღესვე შეუდგეს იმათთან ბრძოლას, დანიშნოს ყარაულები გზებზედ და ტყის მახლობლად, თორემ რაკი ერთხელვე თავს შეიფარებენ დაბურულს ტყეში, მერე მათი დაჭერა ყოვლად შეუძლებელი იქნება.

*** იქიდამვე: ამ რამდენისამე წლის წინად გორის მაზრის უფროსი თავ. ამილახვარი შეუდგა გზის კეთებას გომის სადგურიდგან იმერეთის საზღვრამდე, სახელდობრ ჯვარამდე. ამ გზას კიდეც აკეთებდნენ სურამის მხარის სოფლები, მაგრამ მუშაობა შესწყდა და ეს ყოვლად საჭირო გზა დღემდის იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც დასტოვა თავ. ამილახვარმა, ესე იგი ჯერაც დასრულებული არ არის. თუ რამდენად საჭიროა ეს გზა, იქიდგანა სჩანს, რომ ამით დადის მთელი რაჭა, ერთი მხარე კავკავისა და მთელი საჩხერე. ამ გზამ ძლიერი კამათობა გაუწია ყვირილის გზას; ყვირილის გზით ერთის ყუთის შავის-ქვის გადატანა ღირს 25—30 კაპ., გორის გზით-კი 13—15 კაპ. ეს გზა, როგორც ვსთქვით, ჯერ შეკეთებული არ არის და ამიტომაც კარგი იქნება, გორის მაზრის ეხლანდელმა უფროსმა დაასრულებინოს იგი. ესმით უფრო საჭიროა, რომ საჩხერემ კიდეც გააკეთა გზა-ტკეცილი ქართლის საზღვრამდე. ცხადია, რომ ეს გზა, რაკი კარგად შეკეთებული იქნება, დიდს შეღავათს მისცემს ქართლსაცა და იმერეთსაც.

*** დაბა სურამი: აქ გაჩნდა რალაც გადამდები ავადმყოფობა, რომელმაც იმსხვერპლა ერთი კაცი და რამდენსამე გადაედვა. როგორც ექიმები ამბობენ, ეს ავადმყოფობა საოფლეაო.

*** დუშეთი: აზნაურმა შაქრო კობიაშვილმა ჩხუბის დროს თოფით მოკლა თავის ბიძაშვილი. მკვლელი თითონ მისულა მაზრის უფროსთან და გამოუცხადებია, ესა-და-ეს დანაშაულობა ჩავიდინეო. ამ ჟამად კობიაშვილი მეტეხის ციხეშია დაპატიმრებული.

*** საინგილო: 20-ს მარტს სოფ. კაკში გარდაიცვალა ოთხმოც-და-ათის წლის მოხუცი, გიორგი ჯანაშვილი, უკანასკნელი წარმომადგენელი იმ შვიდ ინგილოთა, რომელთა მოღვაწეობით და თავ-განწირულებით 1850—1855 წლებში ინგილოებმა დასტოვეს მაჰმადიანობა, ირწმუნეს ქრისტე ღმერთი და ისევ დაუბრუნდნენ თავის მამა-პაპათა სარწმუნოებას. გიორგის გარდაცვალებამ დიდად შეაწუხა მთელი ხალხი და მოაგონა ის დრო, როდესაც საინგილო იმყოფებოდა ელისოს სულთნების მონობის ქვეშ და როდესაც მთელი ქვეყანა აწიოკებული და აოხრებული იყო ლეკთაგან. ამასთანავე ხალხმა მოიგონა ის დროცა, როდესაც 1850-ს წელს გიორგი ჯანაშვილმა და ექვსმა იმისმა თანაშემწემ მიიღეს ქრისტიანობა და იწყეს ქრისტიანობის გავრცელება საინგილოში.

მეტი არ იქნება, მოკლედ მოგითხრათ ინგილოების მოქცევის ამბავი. 1849—1850 წ. აჰმად ჯანაშვილი (აწ განსვენებული გიორგი), ალიბაბა ბულულაშვილი (შემდეგ ივანე), მეთაური ბაირამიშვილებისა (აწ თარხნიშვილები) და კიდევ ოთხი სხვა ინგილო შეიყარნენ ერთად, გადასწყვიტეს ქრისტიანობის მიღება და ხალხის მოქცევა მამა-პაპათა სარწმუნოებაზე. ამ დროს დიდი შიშიანობა იყო. შამილი ისევ გაშმაგებით ებრძოდა რუსებს. მარტო იმისი სახელიც-კი მოსვენებას არ აძლევდა საინგილოს. ის შვიდი ინგილო-კი არ შეუშინდა არც შამილს, არც ლეკებს და წამოვიდა ტფილისს, სადაც ისინი დიდის სიხარულით მიიღო თავადმა ვარანცოვმა.

ტფილისში იმათ მიიღეს ქრისტიანობა. ბულულაშვილის ნათლიად იყო თავ. ვარანცოვი და გიორგი ჯანაშვილისა—ვარანცოვის მეუღლე. ეს ახალი ქრისტიანები დაბრუნდნენ საინგილოში, იწყეს ქრისტიანობის გავრცელება და ორი-სამის წლის განმავლობაში ქრისტიანობა მოედო მთელს საინგილოს; დაარსებულ იქმნა ეკკლესიები სოფ. კაკსა და ალიბეგლოში, ყორაღანსა და თასმალოში, ალიაბათსა და ბელაქანში და სხვ.

1859 წელს შეიმუსრა ლეკთა ძლიერება და ამის შემდეგ ქრისტიანობაც დღითი დღე ძლიერდებოდა, მაგრამ 1863 წელს ჰაჯი-მურთუზამ ლეკები ააჯანყა და მიიმხრო მთელი ზაქათალის ოლქა, გარდა ინგილოებისა. გათამამებული ლეკები ძლიერ ემუქრებოდნენ ქრისტიანებს და ხალხი ზოგიერთს სოფლებში ისევ გამაჰმადიანდა. ქრისტიანად დარჩა მხოლოდ ოთხი ათასამდე კაცი, მაშინ-როდესაც წინად ხსენებულ მოღვაწეთა წყალობით ქრისტიანობაში მოქცეული იყო თხუთმეტ ათას კაცამდე.

გიორგი ჯანაშვილი იყო ძე სოლომონ ჯანაშვილისა, რომელიც 1864 წ. გარდაიცვალა 130 წლისა და რომელიც კარგად იცნობდა მეფე ერეკლესა. სოლომონი თავის დროს ფრიად გავლენიან და პატივცემულ კაცად ითვლებოდა საინგილოში. განსვენებულის გიორგის საფლავი დაიტირა მთელმა საზოგადოებამ, რომელმაც იცოდა, რომ გიორგი უანგარო და ერის ერთგული კაცი იყო.

*** მთავარ-მმართებელს კავკასიისას, თავადს დონდუკოვ-კორსაკოვს, კახეთში მოგზაურობის დროს, ყვარელში დაუთვალიერებია 7-ს აპრილს ადგილობრივი პირველი «დრუჟინა», რომელიც მხოლოდ სამი თვეა რაც შეუდგენიათ. ახალს ჯარის-კაცებს იმდენად ზედ-მიწევნით შეუსწავლიათ ყოველივე სამხედრო წესი და რიგი, რომ კარგად გამოცდილს ჯარის-კაცებსაც არ ჩამორჩებიან. თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა დიდი მადლობა უთხრა ჯარის-კაცებსა და ოფიცრებს. ალღუმზე დაესწრნენ ძველს დრუჟინებში ნამსახური ჯარის-კაცები, ორდენებით და ჯვრებით დაჯილდოვებულნი. («Кавказъ»-ი)

*** 13 აპრილს, ღამის ორს საათზედ, პოლიციელმა მე-7 პოლიციის ნაწილისამ, ტიმოფეევმა, აღმოაჩინა ბინა 1887 წ. სამხედრო ციხიდგან გაპარულ ტუსაღისა, მიხეილ კირაკოზოვისა (ისივე გულაკი), ხოლო კირაკოზოვმა მძიმედ დასჭრა მარჯვენა გვერდში, მხარს ქვემოდგან. ტიმოფეევი საავადმყოფოში გაიგზავნა. კირაკოზოვი და იმასთან მყოფნი-კი მიეფარნენ.

*** 13 აპრილსავე ტფილისის მოქალაქემ გალუსტ ზეგიჯანოვმა მიიყვანა პოლიციაში ორი კამბეჩი, რომელიც არ იციან, ვის ეკუთვნის. ეს კამბეჩები იმ დრომდე, ვიდრე პატრონი გამოუჩნდებოდეს, მიებარა ტფილისის მოქალაქეს სტეფანე მირ[illegible]ოევსა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ზუგდიდი**, 11 აპრილი. სამის წლის წინად აქ იყიდებოდა ჯარის-კაცთა სადგური. სანამ მოაღწევდა ვაჭრობისათვის დანიშნული დღე, მოქალაქეებმა განიზრახეს ამ სადგურის ყიდვა და შეწირვა აქაურ ორ-კლასიან სასწავლებლისათვის. ამ აზრმა შეისხა ფრთა და მართლადაც, გადასწყვიტეს, რომ უეჭველად ეყიდნათ და შეეწირათ ეს მამული სასწავლებლისათვის. ვაჭრობის დროს გამოჩნდნენ კერძო კაცები, რომლებსაც ჰსუროდათ თვისდა საკუთრებად შეძენა; მაგრამ, მოქალაქეების თხოვნით, ამ კერძო კაცებმა პატივი სცეს იმათს თხოვნას და აღარ შეეცილნენ. რადგანაც არავინ დაემუშტრა, ამისათვის, როგორც თავიდამვე დაფასებული იყო, იმ ფასად იყიდეს მოქალაქეებმა, ე. ი. 400 მანათად. გავიდა დრო და ჟამი და, საუბედუროდ, მოქალაქეებმა თავიანთი აზრი შესცვალეს. საიდუმალაც დაიბადა აზრი, რომ უკეთესი იქნება

---

ლად იქნება, როგორც დაკბენამდის ყოფილა. ზოგი ამტკიცებს, რომ ას დაკბენილთაგან ცოფიანდება მხოლოდ ოც-და-ათი, ზოგი კიდევ ამაზე უფრო ნაკლებს ამბობს და ზოგიერთების გამოანგარიშებით ასში სულ ხუთ კაცს ეკიდება ცოფი.

რათაო, რათ ხდება ეს?

ამის მიზეზი მრავალია.

ახლა, თუ წარმოიდგენთ, რა შიშის ზარსა სცემს ხალხს დაკბენა და რა გვარად უბნევს გონებას, ადვილად მიხვდებით, თუ რა უბრალო საქმეა ყოვლად მხსნელის მკურნალისა და ზღაპრულ ჯანაოზ ექიმის სახელი გაითქვათ უმეცარ სოფელში, თუ-კი უწამლეთ ყველას, ვისაც მოგვრიან,—ცოფიანისაგანაო დაკბენილი.

ჯერ ერთი, რამდენი იქნება იმისთანა, რომელსაც არც-კი მიჰკარებია ცოფიანი პირუტყვი, მაგრამ ღრმად დაჯერებულია, ცოფიანისაგანა ვარ დაკბენილი, არიქა, მიშველეთო! მეორეც ის გახლავთ, რომ იმათგანაც, ვინც მართლა ცოფიანისაგან დაკბენილია, ასში, თუ გარემოება გწყალობთ, შეიძლება მოირჩინოთ, ან უკეთ ვსთქვათ, უთქვენოდაც მორჩეს, ოთხმოც-და-თხუთმეტი!.. აბა მაშ არ ყოფილა წამალი და აღარაფერი ეშველება ცოფიანის პირუტყვისაგან დაკბენილს?

დიაღ, აქამდის არ იყო და არ ვიცოდით ნამდვილი საშუალება. ახლა-კი საფრანგეთის დიდებულმა მეცნიერმა პასტერმა, რომელსაც ბევრი სხვა ღვაწლიც მიუძღვის მეცნიერების წინაშე, აღმოაჩინა ასეთი საშუალება. ეს საშუალება გახლავთ დაცოფილებისათვის ცოფის აცრა.

რაა ცოფის აცრა, რა აზრი აქვს, ან რატომ არ ერევა ცოფი აცრილს?

ვეცდები, მოგცეთ, რაც შეიძლება, მოკლე პასუხი. როგორც საზოგადოდ ყველა ცხოველის, ისე ადამიანის ბუნებასაც, იმის სხეულსა და აგებულებას, შეუძლია იგუოს და შეეთვისოს თითქმის ყოველ გვარს ვითარებას, მარტო გამოსადეგსა და მარგებელს-კი არა, იმისთანასაც, რომელიც ურგებია იმისთვის და ყოვლად მავნებელიც. მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობაა საჭირო სხვა პირობას გარდა ამ გვარის შეგუებისათვის,—საჭიროა, რომ კაცისათვის უცხო და მავნე ვითარებამ ერთბაშად-კი არა, თან-და-თან და ნელ-ნელა იჩინოს თავი. აქ უეცრობა არვარგა, ძნელი ასატანია და ხშირად მომაკვდინებელიც.

წარმოიდგინეთ, რომ ისიც-კი, რაც პირდაპირ ჰკლავს კაცს და უსპობს სიცოცხლეს, შხამი და საწამლავიც, შეიძლება იმდენად იგუოს და შეიფეროს კაცმა, რომ ჩვეულებად ექცეს, ან, როგორც იტყვიან, მეორე ბუნებად. მაგალითად, დარიშხანა და სტრიხნინი ხომ საშინელი საწამლავია, მაგრამ, თუ გონიერად არის გამოყენებული და ხმარებული, იგივ საწამლავი წამალია, და კიდეც ხმარობს მათ და ბევრ სხვასაც წამლად მედიცინა. საქმე ის არის, ვინ, როდის, როგორ და რამდენი იხმაროს. ხშირად სნეული, რაკი შეეჩვევა ნელ-ნელა და ცოტ-ცოტა რამე საწამლავ ნივთიერებას, რომელიც იმისთვის წამალია, მერე იმდენს ხმარობს იმას ერთ გზობადაც სრულებით უწყინარად და უვნებლად, რომ სხვას, შეუჩვეველს, და თვითონ იმასაც, სანამ ისიც შეუჩვეველი იყო, უთუოდ მოჰწამლავდა, ერთბაშად რომ ეხმარათ. საწამლავი და შხამი ბევრ ნაირია და ბევრ ნაირადაც მოქმედობს. რაც შეეხება დროს, ზოგი ისე ძლიერია, რომ სპობს სიცოცხლეს რამდენიმე წამის განმავლობაში, თითქმის თვალის დახამხამების უმალვე, ზოგი-კი იჩენს თავს ბევრად უფრო გვიან და, რაკი გამოაჩნდება, ხშირად ისევე ძლიერია და სიცოცხლის მომსპობი, როგორც პირველი...

ცოფიც ერთ გვარი შხამია, რომელიც კბენითა თუ სხვა გზით შედის სისხლში და, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, იჩენს თავის საშინელს ძალას ოღონდ რამდენსამე კვირას უკან, ხან—რამდენსამე თთვეს უკანაც. აი ამ დროთი უნდა ისარგებლოს ცოდნამ და გამოცდილებამ, რომ გაუადვილოს სხეულს შხამთან ბრძოლა, შეაჩვიოს შხამს და ამით შეუსუსტოს ცოფს სიცოცხლის დამთრგუნველი ძლიერება.

აი აცრის დედა-აზრი.

კეთილი, მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ საგანს? ამისთვის ხომ საჭიროა იმ შხამის შოვნა, რომელიც ჰბადავს ცოფს და რომელიც ჯერ მიკროსკოპითაც არავის უნახავს, არავის უპოვნია? მართალია, ჯერ მიკროსკოპითაც არავის უნახავს ეს კაცობრიობის მძვინვარე მტერი, მაგრამ ბევრი საბუთი გვაქვს, ვიფიქროთ და დარწმუნებულიც ვიყოთ, რომ ეს მტერიც იმ სულ პაწია და თვალით უჩინარს ცხოველებს ეკუთვნის, რომლებსაც სწავლულები მიკროორგანიზებსა და ბაქტერიებს ეძახიან.

პასტერმა ბევრის კვლევისა და ცდის შემდეგ შეისწავლა ცოფის თვისება და დაამტკიცა, რომ ის ჰბუდობს შეუცვლელად ტვინის იმ ნაწილში, რომელსაც მოგრძო (oblongatum) ტვინი ჰქვიან. ცოფი, ანუ უკეთ ვთქვათ, ის შხამი, რომელიც ჰბადავს ცოფს, სხეულის ზოგიერთს სხვა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევაკეთოთ ახლად შეძენილი მამული და შიგ კლუბი გავმართოთო. გავიდა რამდენიმე ხანი და იჩინა თავი მესამე აზრმა: მხოლოდ მაშინ შემოვწირავთ სასწავლებელს, თუ ორკლასიანის მაგივრად სამოქალაქო სასწავლებელს გაგვიმართავს მთავრობაო. ასე და ამ გვარად ეს სამი წელი გაფრინდა, ვიდრე რომელსამე გადაწყვეტილს აზრს დაადგებოდნენ.

დასასრულ, როგორც იყო, ამ რამდენისამე დღის წინად ძლივს-ღა მოეღო ბოლო ამ გამწვავებულს და დაუბოლოვებელს საქმეს. ახალმა მაზრის უფროსმა, ბ-ნმა ზაბელინმა, მოიწოდა მოქალაქენი, მოელაპარაკა და სთხოვა იმათ, რომ დაეთმოთ სასწავლებლისათვის ზემოხსენებული სახლი და ადგილი. ჩვეულებისამებრ ვიდრე თანხმობას და დასტურს გამოაცხადებდნენ, ცოტა ხნით შექმნა მითქმა-მოთქმა, გახმობა-გამოხმობა და ჩურჩული, რის შემდეგ თითქმის ერთ-ხმად დაუთმეს სასწავლებელს ზემოხსენებული სახლი ადგილითურთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ახალს სადგომს სკოლი'ას შეკეთება ეჭირვება. ვისურვოთ, რომ საზოგადოებამ, რომელიც კეთილს საქმეს არ შეუშინდა, ამ შეთხვევაშიაც შემწეობა აღმოუჩინოს სასწავლებელს.

დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც მოქალაქენი კეთილის საქმისათვის, აგრეთვე ბ-ნი მაზრის უფროსიც, რომელმაც ეგრე ენერგიულად ჩაჰკიდა ხელი ამ დაობლებულს, მივიწყებულს და მიძინებულს საქმეს და მიაქცია ჯეროვანი ყურადღება სასწავლებლის შევიწროებულს მდგომარეობას.

ქუთათური დათიკო

## უცხოეთი

საფრანგეთი. დღევანდელი რუსული გაზეთები თითქმის ყველანი ბულანჟეზე ლაპარაკობენ. მეთაური წერილები «Новости»-სა, «Нов. Время»-სი, «С.-Пет. Вѣд.»-ისა და სხვებისაცა ამზეა, რომ დღეს, ე. ი. 7 აპრილს, დაიწყო კრება საფრანგეთის დეპუტატთა პალატისა და ვნახოთ, როგორ გამოვა გაჭირებიდამ სამინისტრო ფლოკესიო, რას იზამს დეპუტატი ბულანჟე და იმისა მომხრენი, რომელნიც სამის დასის შეერთებით ძალიან ძლიერნი არიანო.

ახლად დეპუტატად არჩეული სამსახურიდამ გამოსული გენერალი ბულანჟე ძალიან იმედიანად არის. ხალხის თანაგრძნობამ და არჩევანების დროს დიდმა გამარჯვებამ გაიტაცა და დაათრო ქუდბედიანი პატრიოტი და აჯანყებული ჯარის-კაცი, როგორც ჟულ ფერრიმ უწოდა ბულანჟესა ეპინალში. როცა გენერალი აირჩიეს ჩრდილო დეპარტამენტში დეპუტატად, პარიჟში დიდი ამბავი ჰქონდათ იმის მომხრეებს და მეტადრე უბრალო მუშა ხალხსა. ნაშუადღევის 5 საათიდამ შეიკრიბა დიდი ბრბო მონმარტრის ქუჩაზე და უცდიდა ამბებს ჩრდილო-დეპარტამენტიდამ. ამ ქუჩაზეა ის სახლი, რომელშიაც სამის გაზეთის რედაქციაა მოთავსებული. სამივე გაზეთი, სახელდობრ, «France», «Intransigeant» «Cocarde», ბულანჟეს მომხრე გაზეთებია. ამ რედაქციებს გამოეკიდათ ქუჩაში ბულანჟეს სურათი, კაცის ოდენა სივრცისა. ბულანჟეს გარდა გამოკიდული იყო სურათი ფერრისა, მუშაითისა და მასხარას ტანისამოსით ჩაცმულისა. ბრბო ჰყვიროდა რაც მალი და ღონე ჰქონდა: «გაუმარჯოს ბულანჟესაო! არ გვინდა ტონკინი, დაიკარგოს ფერრიო!» საღამოს 9 საათზე ბრბო გაიზარდა, იმატა. ვინც ბურჟუა გაივლიდა, წაავლებდნენ ხელს და მუხლს მოაყრევინებდნენ ბულანჟეს სურათის წინაშე და შეაფურთხებინებდნენ ფერრის სახესათვის. ერთმა თავზე ხელაღებულმა წამოიძახა: «ძირს ბულანჟეო!» დაიჭირეს ის საცოდავი და ულმერთოდ გაჰქლიხეს. ღამის 1-ლ საათამდე ბრბო ხალხისა მღეროდა, ჰყვიროდა, გაჰქონდა ყრიამული. მეორე საათი რომ დაიწყო, მოვიდა არჩევანების ამბავი და რედაქციებმა გამოაცხადეს, რომ ბულანჟე იქმნა ამორჩეული და მერე ისიც დიდის ხმის უმეტესობითაო.

შეიქნა ერთი კაი-ვაგლახი და მორედ მოსვლა. «გაუმარჯოს ბულანჟესაო!» ჰყვიროდნენ ისეთის ხმით, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. ამ ყვირილით ხალხი გაემართა რივოლის ქუჩისაკენ, რადგან ბულანჟე «დუ-ლუვრის სასტუმროში» ეგულებოდათ. მართლაც ბულანჟე იქ იყო და ვახშამს შეექცეოდა ლაგერთან და სხვებთან ერთად. იქ მივიდა ანრი როშფორიცა, დეპუტატი ლორი, შევილონი, რედაქტორი «France»-სი ლალუ და გრაფი დილონი. პატარა ხანს უკან გაჩნდა პოლ დერულედიცა, რომელსაც მხიარულებით სახე უბრწყინავდა. დერულედმა მეგობრულად ჩამოართვა ხელი ბულანჟეს. «ნულარას იტყვიო, უთხრა გენერალმა დერულედსა: შენი მხიარული სახე ცხადად ამბობს, რაც გულში გიდევს და რის თქმაც გინდა. მე უიმისოდაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი სამართლიანი საქმე გაიმარჯვებდა. როცა კაცი საფრანგეთის გულს მიჰმართავს, ყოველთვის ისეთს პასუხს მისცემს, როგორიც დღეს ჩვენ მოგვცა.» ბულანჟე მაინც მოერიდა სასტუმროს წინ შეკრებილს ხალხს და სხვა კარებით გავიდა სასტუმროდამ. ყვირილით მოქანცული და გულ-დაწყვეტილი ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

ბულანჟეს მომხრე გაზეთები ცას ეწევიან სიხარულით. როშფორის გაზეთი პირდაპირ ამბობს, რომ ოპორტუნისტები და რადიკალები მოვალენი არიან ქედი მოიდრიკონ ერის ამორჩეულის წინაშეო. თუ ასე არ იზამენ, იმათ ისე მოვექცევით, როგორც ქვეყნის მოღალატეებსაო. „Lanterne" ამბობს, რომ უნდა დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნას პალატა და მოვიწოდოთ კონსტიტუციის დამაარსებელთა კრებაო. ბონაპარტელებსაც უხარიანთ ბულანჟეს გამარჯვება, მაგრამ გულ-ახდით ამბობენ, რომ შემდეგში ჩვენ ვიცით, როგორც მოვიქცევითო. პოლ დე-კასანიაკი ამბობს: რესპუბლიკას ხმალი-კი არ ემუქრება, წაღა და წაღის ქუსლიო. ამ ჩვენს რესპუბლიკაზე უვარგისი რამ ხომ აღარა იქნებარა, არ ვიცით, რესპუბლიკის მაგიერ რას დავაარსებთ, მაგრამ მაინც ჩვენ წინდა-წინვე გვიხარიან, რომ რესპუბლიკა იღუპებაო. დღე ისე არ გავა, რომ ფეხწამოსაკრავი და კისერ-მოსატეხი არა გაუჩნდეს-რა რესპუბლიკას. მერე ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთ. ორლეანის მომხრენი გულ-გრილად უცქერიან ყველა იმ ამბავს, მაგრამ გულში-კი მაინც უხარიანთ, რომ დაიბადა ჯალათი, რომელიც დაჰგლეჯავს რესპუბლიკასაო. კლემანსოს გაზ. «Justice» არას ამბობს დღევანდელს ყოფაზედ და გაჯიუტებულივით მდუმარებს. რაიცა შეეხება ოპორტუნისტებსა და ზოგიერთ რესპუბლიკელებს, ზოგნი ამბობენ, რომ მხნედ ვებრძოლოთ ბულანჟესაო, ხოლო ზოგნი სრულიად იმედდაკარგულები არიან. გაზეთი «Siécle», რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტის გაზეთობასა სჩემობს, ასე ლაპარაკობს: „ეხლა ეჭვი აღარ არის, რომ ბულანჟე საცოდავს როლსა თამაშობს. როგორც ეტყობა, ბულანჟეს უნდა უზენაესი ხელმწიფობა ჩაიგდოს ხელში თავისთვის და თავის მეინახეთათვის. დღე არ გავა, რომ უფრო-და-უფრო არ ისაკუთრებდეს იმ სახელს «კაფე-შანტანის სენტ-არნოსას», რომელიც ფერრიმ უწოდაო".

— ბულანჟესათვის უკითხავთ, ომი იქნება თუ არაო, და იმას უპასუხნია: «უკეთუ ეხლანდელი იმპერატორი გერმანიისა გარდაიცვალა, ახალი იმპერატორი ყოველის ღონის-ძიებით ეცდება ომი არ ასტეხოს, რათა ამ სახით დაიმსახუროს სიყვარული თავის ერისაო». მერე ბულანჟეს უთქვამს, რომ წიგნის დაბეჭდვას ვაპირებ სამხედრო საქმეების გამოვო. წიგნის შინაარსიც შეუტყობინებია მოსაუბრეთათვის და ბოლოს უთქვამს: «იმისთანა დიდი მნიშვნელობა არასა აქვს ომში, როგორც იმას, ენდობიან და უყვართ თუ არა ჯარის-კაცთა მთავარ-სარდალიო.

— თქვენ, რასაკვირველია, უყვარხართ და გენდობიან, — უთხრა თურმე ერთმა მოსაუბრეთაგანმა: — მაგრამ ისიც იფიქრეთ, რა მოვალეობაც უნდა იტვირთოთ, ვინიცობაა ომი ასტყდა?»

ბულანჟემ ამაზე ასე უპასუხა: «მაგას როგორ არ ვიფიქრებდი. მე ეგ საქმე ასე მაქვს წარმოდგენილი: ომში ერთი უნდა იყოს, ან გამარჯვება, ან სიკვდილი. ყოველ შემთხვევაში მე ისე არ მოვიქცევი, როგორც ნაპოლეონი მოიქცა». ყველა ეს დაწვრილებული ცნობანი გადმოუბეჭდიათ გაზეთებს «Revue militaire de l'etranger»-იდამ.

## წვრილი ამბები

ინგლისის ლორდთა პალატას მეორედ წაკითხვის დროს სრულიად უარუყვია კანონ-პროექტი, რომ ქალებსაც ხმა ჰქონდეთ პარლამენტში სხვა-და-სხვა საქმეების გარჩევის დროსაო.

— დედოფალი ვიქტორია მოგზაურობის დროს ყოველთვის თან ატარებს თურმე თავის საწოლს, საბანებელს, ორს სავარძელს, დასაკეც პაწია დივანს, საწერს სტოლს, ორს სურათს თავის გასვენებულის ქმრისას და ყუთს, რომელიც სხვა-და-სხვა ფოტოგრაფიულ სურათებით არის სავსე.

— უკანასკნელს მარტის ტირაჟში რუსეთის შინაგან სესხის მოგების ქაღალდების 75,000 მან. მოგება რგებია პსკოვის მამულთ-მეპატრონეს ქ-ნს უსოვისას; 40,000 მანათიანი მოგება რგებია ერთის პეტერბურგის გაზეთის ცხრა დამტარებელს — ამხანაგობას, რომელთაც 26 მანათი შეუტანიათ კაცის თავზე და ისე უყიდნიათ ბილეთი. ახლა თითო ამხანაგს 4,000 მან. ერგება. რაც შეეხება 200,000 მანათიან მოგებას, აქამდე ჯერ არავინ იცის, თუ ვის ერგო, ჯერ არავის არ გამოუცხადებია თავის უფლებანი, თუმცა სხვა დროსაც საზოგადოდ უმთავრეს მოგებას რამდენიმე პატრონი და დამჩემებელი გამოუჩნდება ხოლმე.

— ამერიკაში ქალებიც იგონებენ ათას გვარს რასმესა. ამერიკაში 1,900-მდე ქალია თურმე ისეთი, რომელსაც მოუგონია, აღმოუჩენია რამე. სხვათა შორის უნდა დავასახელოთ ქ-ნი მეტერი, რომელსაც დედამიწის ტელესკოპი მოუგონია; გაუთხოვარი ქალი გოშემი, რომელსაც ახალ ყაიდაზედ მოუწყვია ზარბაზანი; ორს ბალტიმორელს ქალბატონს კიდევ რკინის გზის მატარებლისა და ორთქლ-მავალ გემის ჩარხები განუკარგებიათ, გაუუკეთესებიათ, უფრო მარტივად მოუწყვიათ; ვიღაც ქ-ნს ტენოის მოუმზადებია სალაცარი მაშინა დალუპულ გემთა წყლიდგან ამოსაღებად და სხვა-და-სხვა. საკვირველი ის არის, რომ უმეტესობას ქალებისას ისეთ საქმეებში გამოუჩენია თავისი გამჭრიახი ჭკუა და გონება, რომელიც საქალო საქმედ სულ არ ჩაითვლება. მხოლოდ რამდენსამე ქალს დაუდვია თავი ქალებისათვის გამოსადეგ ნივთების გაუკეთესებისა და განკარგებისათვის.

— ადამიანის გონებას ჩვეულებად ჰქონია ყველა დროს, რომ ადამიანიშვილის ნაკვთსა და ზოგიერთ მცენარეთა შორის რამე მგზავსება იპოვნოს ხოლმე. ხშირად ცრუ-მორწმუნე ხალხი ბინდისას განკალით და გულის მგერით უახლოვდება ტყეს, რადგან ხეები, განსაკუთრებით ქარის დროს, როცა ირხევიან, დევები ჰგონიათ. პოეტები და მხატვარნი თავის მდიდარის ფანტაზიის წყალობით უფრო ხელს უმართავდნენ ხალხსა ზემოხსენებულ ცრუ-მორწმუნეობის ჩანერგვისა და გავრცელებისათვის. გუსტავ დორე და გრანვილი აღვიწერენ ხეებსა, რომელნიც ნამდვილად ჰგვანან ადამიანიშვილსა. ხის ქერქი, ნუჟრი და სხვა უსწორ-მასწორობანი სახეს წარმოგიდგენენ, დედამიწიდგან ამოსული ფესვები, — ფეხებია, ფოთლები — თმები, ტოტები — ხელები. ზოგიერთ ქვეყნებში,

---

წილებშიაც იმყოფება, მაგალითად, ნერწყვში, მაგრამ სისხლში-კი, თუმც სისხლის შემწეობით შედის და ედება მთელს სხეულს, არ არის. ცოფი ჩნდება მაშინ, როცა სისხლში შეული შხამი მიატანს ტვინს, ნერვების სისტემას. გაცოფებულ ძაღლს, ან სხვა რომელსამე პირუტყვს რომ ამოვაცალოთ ტვინიდამ სული მცირეც არის ნაწილი და რამე ღონისძიებით შევურიოთ საღის პირუტყვის სისხლსა თუ ტვინს, პირუტყვი უსათუოდ გაცოფდება. ამ გვარად შეგვიძლიათ ერთიდამ მეორეზე, მეორედამ მესამეზე და კიდევ სხვებზე გადაიტანოთ ცოფი. შესანიშნავია, რომ ამ გადატანის დროს ყველა ცხოველს ერთ ნაირად როდი ეკიდება ცოფი. მაგალითად, თუ თქვენის გამოცდის საგნად მაიმუნი აგირჩევიათ და ერთის მაიმუნიდამ მეორეზე გადაგაქვთ ცოფი, ამ გადატანის დროს ცოფი თან-და-თან სუსტდება და ჰკარგავს ძალას, და თუ თეთრი კურდღელი — მაშინ, პირ-იქით, უფრო-და-უფრო ძლიერდება და ბოლოს მიაღწევს უმაღლეს ხარისხს თავისის ძლიერებისას. ამ ღონის-ძიებითა და კიდევ მრავალის სხვა ხერხის წყალობით, რომლისთვისაც პასტერის გასაოცარ გონების და შრომის მადლობელი უნდა ვიყოთ, შეიძლება ვიქონიოთ სხვა-და-სხვა ხარისხისა და ძალის ცოფი.

აცრა ჰქვია ჯან-მთელ სხეულში რაიმე შხამის განგებ იმ განზრახვით შეტანას, რომ ააცილონ სხეულს ის ავადმყოფობა, რომელსაც ჰბადავს შხამი და იმისი მავნებელი და სასიკვდილე ბოლო.

ყოველსავე ზემოთქმულს შემდეგ, მგონია, ცხადი უნდა იყოს, თუ რას ჰქვია პასტერისებურის მეთოდით (ხერხით) ცოფის აცრა. გაცოფებულის პირუტყვისაგან დაკბენილ კაცს უცრიან, რაც შეიძლება მალე, სანამ არ გამოსჩენია ცოფი, სხვა-და-სხვა ღონის-ძიებით ჯერ ყველაზე უფრო შესუსტებულს, დაუძლურებულს შხამს და მერე, როცა ამას შეეთვისება სხეული, თან-და-თან უფრო-და-უფრო ძლიერს. ამ გვარად, გაივლის თუ არა ცოფის ფარულად მოქმედების ხანი და მოაწევს საშინელი წამი, როცა ცოფს უნდა ეჩინა სრული თავისი ძალა, სხეული იმდენად შემზადებული და შეგუებული, იმდენად შეჩვეული უხვდება, რომ ცოფი ველარ სჩაგრავს კაცის სხეულს, ველარ ეკიდება და იდრეკს ქედს ყოვლად ძლიერის ცოდნის წინაშე.

როცა პასტერმა პირველად ასცრა ცოფი, ასტყდა უშველებელი ალიაქოთი და იმის აზრსა და განზრახვას აღმოუჩნდა ბევრი მეცნიერი მტერი. ამ მტრების რაზმი დღითი-დღე კლებულობს და სცხრება ატეხილი ბრძოლა. ჭეშმარიტებამ თავისი გაიტანა. ნურვინ იფიქრებს, რომ ეს მოწინააღმდეგენი პასტერის პირადი მტრები ყოფილიყვნენ და ჰშურებოდესთ იმისი დიდება და ტანჯულის კაცობრიობის სიკეთე. არა, მეცნიერებამ არ იცის მიკერძვით სჯა, შური და სხვა ამ გვარი ბილწიერება. ის ფრთხილია, მუდამ მხნე და ოღონდ ბრძოლით უთმობს თავის, თუნდ შემცდარს, მაგრამ დიდის შრომითა და დაგვით მონაგარ აზრს. ის იღებს და თაყვანს სცემს ახალს ოღონდ მაშინ, როცა ეს ახალი წარმოადგენს თავისის ვარგისობისა და საფუძვლიანობის უტყუარსა და უეჭველს საბუთს.

მკითხველი, ეჭვი არ არის, მიაქცევდა ყურადღებას ამას წინად «ივერიაში» დაბეჭდილს ამბავს, რომ განზრახვა აქვთო, ტფილისშიაც დააარსონ ბაქტერიოლოგიური სადგური პასტერისებურის მეთოდით ცოფის ასაცრელად. ჩვენის მხრისათვის დიდი ბედნიერება იქნება და დიდი სიხარული გვმართებს, თუ განხორციელდა ეს ყოვლად საქებური და სასიკეთო განზრახვა.

სამაგისო სტატისტიკა არა გვაქვს, რასაკვირველია, მაგრამ გვაქვს მაინც საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენში უფრო ხშირია გაცოფებულის პირუტყვისაგან დაკბენა, ვინემც ევროპაში. მაგალითად, ევროპაში თითქმის სრულებით გაწყვეტილია ჩვენის სოფლების ხშირი სტუმარი მგელი, რომელიც ძაღლისავე ჯიშისაა და რომელსაც კიდევ უფრო ძლიერად ეკიდება ცოფი, ვინემც ძაღლს. ცოფიანის მგლისაგან დაკბენილი ბევრად უფრო ავი მოსარჩენია და აცრით მორჩენილთა პროცენტი აქ ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე მაშინ, როცა კაცი ძაღლისაგან არის დაკბენილი. რომ ცოფის პასტერისებური აცრა დიდი ბიჯია წინ და ჩინებული საშუალება ცოფისაგან თავის დასახსნელად, ეს მტკიცდება ყოვლის უწინარეს იმით, რომ ას დაკბენილში (თუ ძაღლმა დაჰკბინა), რომლებსაც დროზე უცრიათ ცოფი, კვდება ორზე ნაკლები.

თუ დაარსდა ტფილისში ცოფის ასაცრელი სადგური, გვმართებს, ვამბობ, დიდი სიხარული, მაგრამ ცალიერი სიხარული და თანაგრძნობა არა კმარა. საჭიროა, რომ ყველა დაწესებულებამ, რომელსაც-კი შეეხება ეს საქმე, სრული დახმარება აღმოუჩინოს, რითაც-კი შეიძლება, და არაფერს ხარჯს არ მოერიდოს საბედნიერო განზრახვის ასასრულებლად.

გრ. ვოლსკი

მაგალითებრ, ჩინეთსა და იაპონიაში, ხე-ებს ისე ზრდიან და ისე მოჰყავთ, რომ სხვა-და-სხვა ნადირებს დაამგვანებენ ხოლმე: სპილოებს, ჩიტებს, ძაღლებს და სხ. რასაკვირველია, ყველას ურჩევნია ჩიბუხის ტარი, ან ჯოხი, რომელთა ბოლო საშინლად ჰგავს რომელსამე ნადირს, ფრინველს და ან კაცის სახეს. მცენარეებში ყველაზე მალიან ჰგავს ადამიანს გარეგნობით მანდრაგორი (Altropa mandragora), რომელსაც ხალხი ხე-კაცას ეძახის, რადგან ამ ხეს ორი მირი აქვს. დედამიწის ორ ადგილიდან, ერთმანეთის მოშორებით, ამოდის ორი ხე და შემდეგ ზემოდ ერთდება, ერთმანეთს ეწებება, თითქოს კაცის ფეხები იყოსო. პითაგორი ამ ხეს ანტროპომორფოსს ეძახდა (კაც-მაგვარს), ხოლო კოლუმელი «ნახევარ-კაცას» ეძახის. ეს ხე მეტად საშიშია, რადგან იმის ხმარება ადამიანს აბრუებს და საწამლავისავით ჰმოქმედებს აგებულებაზე. ამ ხეს ნადირ-ხალხებში ისინი ჰხმარობენ, რომელთაც გრძნეულისა და ჯადოსნის სახელი აქვთ გავარდნილი. საშუალო საუკუნოებში ამ ხეს დიდის ცრუ-მორწმუნეობით უყურებდნენ, მით უმეტეს, რომ როცა იმასა ჰგლეჯენ მიწიდგან, მაშინ კვნესასა და ოხრასავით რაღაცა ხმას იღებს.

<>

# დეპეშა

13 აპრილი

**პეტერბურგი.** გუშინ გარდაიცვალა პროფესორი ხუროთ-მოძღვრებისა და ხუროთ-მოძღვარი უდიდებულესის კარისა, კრაკაუ.

«Новости» ამბობს: ის პროექტი, რომ ცალკე გარდასახადი დაინიშნოს რკინის გზით გასაგზავნ ტვირთებზე, არ განხორციელდებაო.

**პარიჟი.** სენატმა განიხილა გუშინ ახალი სამხედრო კანონი, რომლის ძალითაც სამხედრო სამსახურში ჯარის-კაცებმა სამს წელიწადს უნდა დაჰყონ. ზოგიერთნი სენატორნი სამხედრო წოდებისანი წინააღმდეგნი იყვნენ თურმე და ამბობდნენ, რომ ჯარში ყოფნის ვადის შემცირება ჩვენს ჯარს დაძახილ და გაუწვრთნელ ჯარად გადააქცევსო.

გრაფს პარიჟელს ლაპარაკი ჰქონია თავის მომხრეებთან და უთქვამს, რომ მე პალატის დათხოვნისა და კონსტიტუციის გადასინჯვის მომხრე ვარ, ხოლო იმ პირობით, რომ ეს გადასინჯვა გარდასწყდეს არა კანონმდებელ კრებულთაგან, არამედ თვით ერის მიეროო. გრაფს უთქვამს, რომ დარწმუნებული ვარ, თუ ერს მიანდეს ეს საქმე, ერი მონარქიას მიემხრობაო.

პრეზიდენტი რესპუბლიკისა კარნო ბორდოში წავიდა, სამშაბათს უკანვე დაბრუნდება პარიჟში.

14 აპრილი

**პეტერბურგი.** სამეფო გვარეულობის მამულთა დეპარტამენტს განუზრახავს ელევატორების გამართვა. პირველი და ყველაზედ უდიდესი ელევატორი გაიმართება პეტერბურგში, ზღვის ახალს არხზედ, მერე რიგასა, რიბინსკსა და ვოლგის ნაპირა ადგილებში.

«С.-Петер. Вѣд.»-ი გვაუწყებს: მინისტრთა კომიტეტმა საბოლოოვოდ გარდასწყვიტა ციმბირის რკინის გზის გამართვაო. რკინის გზას გააკეთებენ მოიჯარადრეები, იმ პირობით, რომ ამ თავით ხაზინიდგან ფული არა მიეცეთ-რა.

ფინანსთა მინისტრის ცირკულიართან გამოცხადებულია დარიგება აქციზის გარდასახადის გამგეთა და სახაზინო პალატათა მიმართ, 1888 წ. 4 იანვრის წესდებათა დამატებად. დარიგება შეეხება საზღვარ-გარეთიდგან მოტანილ წუმწუმის გარდასახადსა და ფოსფორის გასყიდვას. გამოცხადებულია აგრეთვე, თუ რა წესით უნდა გადაიტან-გადმოიტანონ ფოსფორი და ან როგორ უნდა გამოჰქონდეთ საბაჟოდგან და აგრეთვე ისიც, თუ როგორ უნდა ადევნებდნენ თვალ-ყურს აქციზის მოხელენი ფოსფორით ვაჭრობას. ამასთან ცირკულიარში ნათქვამია, რომ წუმწუმის ფაბრიკებს, რომლებიც 1-ლ მაისიდგან დაიწყებენ მოქმედებას, მოწმობათა გატანის დროს ორის თვის გარდასახადი დაწესებულზე მეტი გამოერთვათ, სახელდობრ: იმ ფაბრიკებს, რომელთაც ხელით სამუშაო მაშინები აქვთ,—8 მან. 33 კაპ., იმათ, რომელთაც ცხენით სამუშაო აქვთ,—16 მან. 67 კ., ორთქლით-მომუშავე მაშინებზე-კი—25 მან. უკეთუ 1-ლ იანვარს არ დამზადდა დაწესებული დავთრები, ნება აქვთ აწარმოონ ანგარიში ზონრიან და აქციზის გამგეობის მიერ ზემოწმებულ რვეულებში.

გაზ. „Гражданинъ“-ს აღეკრძალი ცალკე ნომრების გაყიდვა.

**ბერლინი.** იმპერატორი ფრიდრიხი თან-და-თან უკეთა ხდება.

**პარიჟი.** როცა რესპუბლიკის პრეზიდენტი კარნო ბორდოში მიდიოდა, ხალხი დიდის ყოფით და ამბით უხვდებოდა და ალტაცებით იძახდა: «გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს კარნოსაო!» ამ ძახილთან მხოლოდ იშვიათად გაისმოდა: „გაუმარჯოს ბულანჟესაო!“

პეტერბურგის ბირჟა 12 აპრილ

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 64 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 191½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 41 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — ,, | — ,, | 267½ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 243¼ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

<>

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 30 დღით არის

15 დღე პარასკევი. წამ. ვასილისა და ტროფიმესი. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 5—2, ჩადის 6—54. მთვარე 17 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი. . . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი... | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი. . . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური. . . . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . . . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . . . . | 2 | — | 2 | 3 | უვირილა. . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . . . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი. . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი. . . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა. . . . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| უვირილა. . . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . . . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . . . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . . . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური. . . . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი. . . . . . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი. . . . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი. . . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . . . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა. . . . . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები. . . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . . . . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . . . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

## ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | საღამოთი | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი. . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი. . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი. . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

იმპერატორის ალექსანდრე მეორის სისხლის სამართლის წესდების კანონთა 348 მუხლის ძალით

გამომძიებელი 4-ხე მომრიგებელ მოსამართლის განყოფილებისა ქ. ტფილისში, სულხანოვი, ამით აცხადებს, რომ 25 მარტს 1888 წელსა მეშვიდე აელაბრის ნაწილში ქ. ტფილისისა, საკავკასიო რკინის გზის ლიანდაგის იქით, ხევში, რომელიც მახათის გორასთან არის, იპოვეს მოკლული კაცი, რომელსაც ძალ-დატანებით მოკვლა ეტყობოდა, ხანჯლით და შუბით. ამ კაცის ვინაობა არ აღმოჩნდა.

ნიშნები მკვდრისა: შუათანა ტანის კაცი; სუსტის აგებულებისა; თმა თავზედ შავი; მოკლედ გაკრეჭილი. კისერზე აქვს ოთხი ნაიარევი, თეთრის ფერისა—ნაშთი ქეცისა. ზურგზედ და ფეხებზედ იარები, როგორცა სჩანს, ათაშანგისა. მკვდარს მარტო სამოსლის პერანგის ამხანაგი ეცვა ხონჯრით შეკრული და ფეხის კოჭებთან ლილით შეკრული. ყველას, ვისაცკი შეუძლიან რაიმე ცნობების მიცემა ამ მოკლულზედ, ან მოკვლაზედ, ან ამ საქმეში გარეულ კაცზედ, გამომძიებელი სულხანოვი სთხოვს გამოცხადნენ მასთან, ანუ წერილით აცნობონ ყოველივე. (3—3)

ნამდვილი საუნჯეა

ყველასათვის განთქმული წიგნი

თავის მოვლა

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlags-Magazin in Leipzig. (50—12)

ვისაც შეუძლიან იკისროს თეთრის კურდღლების მოყვანა იჯარით, სთხოვენ გამოცხადდნენ 3-ს მაისს 1888 წელს, შუადღისას, საჰიგიენო ლაბორატორიაში (Гигіеническая лабораторія), ტფილისის აფთიაქის მაღაზიის შენობაში, იუნკრების სასწავლებლის მახლობლად, კუკიაში. ვინც ამ გვარს იჯარას იკისრებს, შეუძლიან ყოველივე პირობა იჯარისა შეიტყოს ხსენებულს ლაბორატორიაში ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—2)

კაბინეტი

ანუ სამკითხველო გაზეთებისა და ჟურნალებისა. ტფილისის სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა, ლანგოს მაღაზიის გვერდზედ, № 93.

სამკითხველოში მოდის საზღვარ-გარეთისა, რუსეთის სატახტო ქალაქებისა და აქაური გაზეთები და ჟურნალები.

კაბინეტი ღია არის დილის 9 საათიდამ საღამოს 9 საათამდე.

ფასი შესვლისათვის ერთი შაური. (3—3)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი განვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | ,, | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . | ,, | 20 |
| ოტელლო შექსპირის ტრაგედია ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . | ,, | 50 |
| ჩატეხილი ხიდი შენიშვნები «ოთარაანთ ქვრივზე» . . . | ,, | 15 |